ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N28

2018 წლის 21 თებერვალი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთი, დაბა ჩაქვი, დ.აღმაშენებლის ქუჩა N36-ში მდებარე 52,0 კვ.მ ფართის ბინა 48 (ს/კ N20.48.09.041.01/048);

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონიძიებების გატარება;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30;

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი